

პროექტის, როგორც მეთოდის გამოყენება უცხო ენის სწავლებისას

ნათელა ბასილია

ქ. თბილისის #82 საჯარო სკოლის პედაგოგი

რეზიუმე

პროექტის, როგორც მეთოდის გამოყენება უცხო ენის სწავლებისას მეტად აქტუალურია განსაკუთრებით უცხო ენის სწავლების პირველსავე წელს. მსურს ფართო საზოგადოებას გავაცნო საინტერესო, სახალისო და შედეგზე ორიენტირებული მეთოდის გამოყენების ეფექტურობა და ეფექტიანობა სწავლა-სწავლების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: მეთოდი, პროექტი, დაწყებითი საფეხური.

წინამდებარე თემის შინაარსი დღესდღეობით თითქოსდა უკვე კარგადაა გათავისებული ჩვენს მიერ და წარმატებითაც ვიყენებთ მას პრაქტიკაში, მაგრამ ჩემი მიზანია, წარმოგიდგინოთ, თუ როგორ საინტერესო, სახალისო და შედეგზე ორიენტირებულია საპროექტო მეთოდის გამოყენება წერა-კითხვის შესწავლამდე, ანუ სწავლების პირველივე წელს, დაწყებით საფეხურზე.

დღესდღეობით უცხო ენათა სწავლების მრავალფეროვანი მეთოდური მასალაა ხელმისაწვდომი, შესაბამისად, საჭიროა მასწავლებლის პროფესიული ავტონომია, შესაძლებლობა - იფიქროს და იმოქმედოს პროფესიულ ფარგლებში, სხვისი ნების, გარემოების დამოუკიდებლად, დამოუკიდებლადვე გააკეთოს არჩევანი და მიიღოს საპასუხიშემგებლო გადაწყვეტილება, დაისახოს მიზანი და გამოიმუშავოს მისი მიღწევის ინდივიდუალური სტრატეგიები.

მომავალი მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის დაწყება უმჯობესია უნივერსიტეტში, რათა შესაძლებელი იქნას მისი მომზადება სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების, განათლების სისტემათა ახალი, მუდმივად ცვალებადი პირობებისთვის; გამოიმუშავოს პედაგოგიური ინოვაციების ადაპტირებისა და საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე სწრაფი რეაგირების უნარი.

მასწავლებლის მეთოდური კომპეტენციის ერთ-ერთ მაჩვენებლად გვევლინება არა მარტო მეთოდურ ხერხთა ნაკადის მრავალფეროვანი ცოდნა, არამედ უნარი, გამოიყენოს ნაცნობი ხერხები და მეთოდები.

პროექტებით სწავლება აქტიურ ზეგავლენას ახდენს შემსწავლელის მოტივაციურ სფეროზე. ფსიქოლოგიური თვალთახედვით, პროექტის შესრულების პროცესი - ეს არის მოთხოვნათა მიხედვით თანდათანობით წარმოქმნილი რიგი და მათი დაკმაყოფილების შესაფერისი ხერხების ძიება სინქრონიზებული პროექტის ეტაპებთან. ყოველი ახალი მოთხოვნა იწვევს მონაწილის ინტერესს, რომელსაც უჭირავს საერთო მოტივაციური ფონი საკმაოდ მაღალ დონეზე. საერთო ჯამში დაკვირვება ხდება მოსწავლის სასწავლო აქტივობის ზრდაზე. პროექტის მიმდინარეობისას ყურადღება ექცევა მოსწავლის დამოუკიდებლობას, აქტივობას, გამომხატველობას, ხოლო მასწავლებლის როლი იძენს პატრონაჟის ხასიათს; მოსწავლე ხდება მასწავლებლისგან მეტ-ნაკლებად

დამოუკიდებელი, სწავლობს კონკრეტული პროდუქტის შექმნას თვითგანათლებისა და თვითორგანიზაციის გზით.

საპროექტო მეთოდი არ შიძლება განვიხილოთ როგორც სწავლების ერთადერთი ფორმა, მაგრამ მასში მონაწილეობით მოსწავლის მიერ ჩვევების გამომუშავების და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით იგი უდავოდ მიეკუთვნება ყველაზე უფრო ეფექტურთა რიცხვს.

საპროექტო მეთოდის ავტორად ითვლება ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და პედაგოგი ჯონ დიუი (1859-1952), რომლის იდეებიც განხორციელდა და გავრცელდა მისი მოსწავლეებისა და მიმდევრების საშუალებით. პირველმა პროექტებმა მიზნად დაისახეს მონაწილეთა ჩართვა შრომით ურთიერთობებში წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში, ხოლო, საპროექტო მეთოდის ახალი დაბადება, როგორც ალტერნატივა საკლასო-საგაკვეთილო სისტემაში, მოხდა 60-70-იან წლებში, იგი ფართოდ გავრცელდა უცხოური ენის სწავლებაშიც.

ნებისმიერი მეთოდის შინაარსი იხსნება მისი პრინციპზე გავლით. მოდით გადავხედოთ უცხოური ენის სწავლების მეთოდიკაში მიღებულ პრინციპთა რიგს:

- 1) პროექტის იდეათა კავშირი რეალურ ცხოვრებასთან;
 - 2) პროექტის შესრულებისადმი ინტერესი ყველა მონაწილის მხრიდან;
 - 3) მასწავლებლის, როგორც კონსულტანტის ფუნქცია;
 - 4) მიზანი- კონკრეტული პროდუქტის შექმნა და მისი ანალიზი;
 - 5) პროექტის დროული და სტრუქტურული დასრულება.
- ნებისმიერი პროექტის მიზანი უნდა იყოს მისი დაკავშირება რეალურ ცხოვრებასთან, ანუ თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირის დამყარება.
 - ჯგუფში, სადაც მანამ ამ მეთოდით მუშაობა არ ჩატარებულა, აუცილებელია შესაბამისი შესავალი საუბარი, რათა მოსწავლეებს ავუხსნათ მისი ძირითადი პრინციპები, გამოვიწვიოთ ინტერესი, რათა არ მივიღოთ გულგრილი დამოკიდებულება მათი მხრიდან. მეთოდ-პროექტის პირველადი გამოყენების დროს მასწავლებელს ხშირად უხდება მისი იდეის ინიცირება. მნიშვნელოვანია, აგრეთვე მასწავლებლის მხრიდან დამაჯერებელი მოტივაცია და წამოჭრილი იდეის კოლექტიური განხილვა. ქულების დაწერის მოტივაცია არ იძლევა საჭირო ეფექტს, ისევე, როგორც შესასრულებელი სამუშაოსადმი ინტერესის არარსებობის შემთხვევაში მკვეთრად ეცემა მისი ხარისხი. ამგვარად, მეთოდ-პროექტის იდეის პიროვნული გათავისება და მისი რეალიზაციისადმი ინტერესის გაღვივება მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მისი შესრულების წარმატებისათვის.
 - პროექტის მიმდინარეობისას მასწავლებლის როლი ცვალებადია, იგი პერიოდულად ითავსებს კონსულტაციურ-მაკოორდინებელ და მაკონტროლებელ-შემფასებლის ფუნქციას. მოსამზადებელ ეტაპზე იგი არის იდეის ინიციატორი, შემდგომ იგი ეხმარება მოსწავლეებს დაგეგმვაში, ქმნის პროექტის დაწყებისათვის შესაბამის პირობებს, პროექტის რეალიზაციის პერიოდში იგი გამოდის დამხმარის როლში, ხდება ცალკეული საკითხების კონსულტანტი ან ინფორმაციის წყარო. არსებითი ფუნქცია მისი ხდება პროექტის მონაწილე ინდივიდებსა თუ ჯგუფებს შორის მოქმედების კოორდინატორი. ამ შემთხვევაში მასწავლებელი უნდა შეეგუოს ლიდერის ფუნქციის დაკარგვას.

- პროექტის მიზანი უნდა იყოს სასწავლო პროცესისგან განსხვავებული პროდუქტის შექმნა, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, იგი უნდა იყოს „მათი“ ანუ არ უნდა კარგავდეს მათ ინტერესს გარკვეული დროის განმავლობაში. პროექტს შესაძლებელია მიეცეს სხვადასხვა სახე, ესენია: ანოტაცია, ცხრილი, ფოტო, აუდიო ან ვიდეომასალა, კოლაჟი, სცენარი, დღიური, ცნობარი, დიაგრამა, ჟურნალი, გაზეთი, წიგნი, ბლოგი, ვებ-გვერდი და სხვა.
 - პროექტის მოსამზადებელი და ძირითადი ეტაპების გავლის შემდგომ დგება მისი დასკვნითი ეტაპი, მისი „გამოფენა“ ანუ წარდგენა და პრაქტიკაში გამოყენება. პრეზენტაციას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახე: დისკუსია, გამოფენა, როლური თამაში, მოხსენება, კონფერენცია, რეპორტაჟი თუ სხვა საინტერესო და სახალისო რამ.
- გთავაზობთ რამდენიმე პროექტის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება მათი დაგეგმვა და პრაქტიკაში გამოყენება უცხოური ენის საგნის მასწავლებლის მიერ დაწყებითი საფეხურის პირველსავე წელს, წერა-კითხვის შესწავლამდე.

პროექტი: „პლაკატის, როგორც სასწავლო რესურსის მომზადება“

აღნიშნული პროექტის დაგეგმვა შესაძლებელია მეორე გაკვეთილზევე.

მიზანი: უცხ.დ.1.10; დ1.12. მოსწავლემ შეძლოს სასწავლო საქმიანობის ორგანიზაცია და ჩაერთოს მარტივ ინტერაქციაში.

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ერთმანეთის უკეთ გაცნობის მიზნით მომდევნო გაკვეთილისთვის მოიტანონ სახლიდან მათი ფოტო სურათები, სასურველია ამ სურათზე თავად მარტონი იყვნენ აღბეჭდილნი, მასწავლებელი ასევე აუხსნის მოსწავლეებს, რომ მათ მიერ მოტანილი სურათები გამოიფინება საკლასო ოთახში. იგი დამატებით განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ფოტოებთან ერთად მომდევნო გაკვეთილზე მათ თან უნდა იქონიონ მაკრატელი და წებო.
2. მასწავლებელი თავადაც ემზადება გაკვეთილისთვის, მან უნდა მოიმარაგოს ერთი A2 ზომის, ან ორი A3 ზომის ფორმატი, მაკრატელი და წებო.
3. გაკვეთილზე, როცა ყველა საჭირო რესურსი უკვე მზად არის პროექტის დასაწყებად, მოსწავლეებს კიდევ ერთხელ განუმარტავთ, რომ მათ მიერ მოტანილი ფოტო-სურათები უნდა დაიკრას დიდ ფორმატზე, რომელიც მუდმივად დარჩება მათ საკლასო ოთახში გამოფენილი და სიხარულით ვაცნობოთ, რომ სულ მალე ისინი შეძლებენ ამ ფოტოების ინგლისურად აღწერას.

შენიშვნა: სწავლების ამ დონეზე ჩვენ ვერ განვუმარტავთ მოსწავლეებს თუ რა გრამატიკულ და ლექსიკურ მასალას შეისწავლიან ისინი ამ პროექტის საშუალებით, რადგან შესწავლა იმისა თუ რაც გვინდა რომ შევასწავლოთ, უნდა მოხდეს თამაშით, ძალაუფლებით.

4. მოსწავლეებს ვაძლევთ 3 წუთს და ვთხოვთ მათ მიერ მოტანილ ფოტოებს მისცენ ლამაზი ფორმები მაკრატლის საშუალებით ისე, რომ არ დაზიანდეს მათი გამოსახულებები ფოტოებზე.
5. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააწებონ თავიანთი ფოტოები პლაკატის მოსამზადებლედ მასწავლებლის მიერ მომზადებულ A2 ზომის ფორმატზე, თუ მასწავლებელმა მოამზადა ორი A3 ზომის ფორმატი, მაშინ ერთ ფორმატზე გოგონებს ვთხოვთ ფოტოების დაკვრა, მეორეზე კი ვაჟებს. 5 წთ.

6. პლაკატი მზადაა. მასწავლებელი გამოაკრავს მას თვალსაჩინო ადგილას, საკლასო ოთახში. პლაკატი მთელი სასწავლო წლის მანძილზე რჩება აღნიშნულ ადგილას და მუდმივად გამოიყენება როგორც სასწავლო რესურსი.

7. მასწავლებელი იწყებს მოსწავლეებისათვის სხვადასხვა სამეტყველო ფუნქციების სწავლებას, მოსწავლეები კი იწყებენ ინტერაქციას:

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს პირის ნაცვალსახელებს: he, she (ის). He გამოიყენება ვაჟების მიმართ, she გოგონების მიმართ.

მასწავლებელს ინდივიდუალურად მიჰყავს მოსწავლე დაფასთან, შემთხვევითი შერჩევით უსვამს შეკითხვას: Who is he? ან Who is she?

მოსწავლეები პასუხობენ: მაგ: He is Temo ; She is Nino. და ა.შ.

პლაკატის, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენება აქ არ სრულდება, იმავე წარმატებით შეიძლება მისი გამოყენება

1. აწყო განგრძობითი დროის შესწავლის შემდეგ, როგორც ასაღწერი სურათები.

მაგ: შეკითხვა: What is he/she doing?

პასუხი: He/She is dancing/reading/running და ასე შემდეგ.

2. ტანსაცმლის დასახელებების შესწავლის შემდეგ.

მაგ: შეკითხვა: What is he/she wearing?

პასუხი: He/She is wearing a blue shirt/ a red dress და ასე შემდეგ.

შედეგი: მოსწავლეს მოაქვს საჭირო ნივთები; იცავს დროის ლიმიტს; ახერხებს ყურადღების კონცენტრირებას; პასუხობს მარტივ კითხვებს.

აქვს სამეტყველო ფუნქციები: 1.2 შეუძლია ინფორმაციის გაცვლა; 1.3 აღწერა/დახასიათება; 2.3. აქტივობები.





პროექტი „პოდიუმი“

კიდევ ერთი საინტერესო პროექტი შეგვიძლია შევთავაზოთ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს.

ხანგრძლივობა: 2 საკონტაქტო საათი.

გასამეორებელი მასალა: ფერები, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები, აწმყო განგრძობითი დრო.

შესასწავლი მასალა: ტანსაცმელი

სამუშაო ფორმა: ინდივიდუალური; წყვილებში.

1. გაკვეთილისთვის უნდა მოვამზადოთ ქვემოთ მოცემული სლაიდის იმდენი ასლი, რამდენი მოსწავლეც სწავლობს სამიზნე ჯგუფში.
2. მოსწავლეებს ვასწავლით ერთ-ერთი ტანსაცმლის სახელწოდებას, ვთხოვთ გააფერადონ ის და ვუთითებთ ფერს, რომელიც ჩვენ გვსურს. ასე თანმიმდევრობით ვაფერადებთ ყველა ტანისამოსს.
3. მოსწავლეებს ვთხოვთ მომდევნო გაკვეთილისთვის თან იქონიონ მუყაოს, ნებისმიერი ფერის A4 ზომის ფურცელი, მაკრატელი, მშრალი წებო.
4. მომდევნო გაკვეთილზე, როცა ყველა საჭირო მასალა ხელთ გვაქვს, მოსწავლეებს ვთხოვთ გამოჭრან გოგონა და დააწებონ მუყაოს ფურცელზე და მას ასევე ზუსტად მისცენ გოგონას ფორმა.
5. მოსწავლეებს ვთხოვთ გამოჭრან ტანსაცმელი ფურცელზე მოცემულ ყუასთან ერთად.
6. მოსწავლეებს ვთხოვთ მოაწყონ „მოდების ჩვენება“, ანუ გოგონას „ჩააცვან“ სასურველი ტანისამოსი.
7. ვთავაზობთ წყვილებში მუშაობას. კერძოდ: ერთ-ერთი სვამს კითხვას: -რა აცვია გოგონას? What is the girl wearing?

-გოგონას აცვია (მაგალიად:) ლურჯი შარვალი. The girl is wearing blue pants.



ტექსტში გამოყენებული ცხრილების, დიაგრამები, სურათები:

სურათი-3.